ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01203452292**
თარიღი: **10/12/2020**
პინი: **6573**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 03 დეკემბრის #60-01203382217 წერილი და AR1792042 განაცხადით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე ვაჟა ივანიშვილის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, სს ,,თრიალეთის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ქუჩა შუშის #38/ქ. თბილისი, ქუჩა ბაღნარის #2ა ს.კ.: 01.11.04.017.116) (ს-1) III კლასის სამშენებლო მასალების საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი **გამწვანების პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 2 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი სრულად ითვისებს კ3-0.1 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (29.45 კვ. მეტრი).** განსამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **მაგრამ, სამსახურმა, რომ შეითანხმოს გამწვანების პროექტი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი საინფორმაციო დაფის სრულყოფილი ესკიზი, კერძოდ: ვინაიდან საინფორმაციო ბანერზე, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირად დაფიქსირებულია ვაჟა ივანიშვილი (აღნიშნული ფიზიკური პირი არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთრე), დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს მასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან/და წერილობითი თანხმობა გასაშენებელი მწვანე ნარგავების მოვლაზე.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გამწვანების პროექტს შეითანხმებს მითითებული ხარვეზის გამოსწორების შემდეგ.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი